



სპეციალური
საგამოძიებო
სამსახური

სპეციალური საგამოძიებო სამსახური

სახელმძღვანელო

ხელბორკილის გამოყენების მიზანშეწონილობისა და წესების
შესახებ

2024 წელი

სარჩევი

სახელმძღვანელო ხელბორკილის გამოყენების მიზანშეწონილობისა და წესების შესახებ	3
შესავალი	3
სახელმძღვანელო დოკუმენტის მოქმედების ფარგლები.....	6
ხელბორკილის გამოყენების წესი	8



განკუთვნილია სპეციალური საგამომიებო სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტის თანამშრომლების სამსახურებრივი გამოყენებისათვის

სახელმძღვანელო ხელბორკილის გამოყენების მიზანშეწონილობისა და წესების შესახებ¹

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ადამიანის ღირსების ხელშეუვალობის დაცვა, ასევე წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ვალდებულებაა, რომლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს რა თქმა უნდა აღნიშნული ფაქტების ეფექტიანი გამოძიება და დამნაშავეის დასჯა წარმოადგენს.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას ხშირად იყენებენ შეზღუდვის ისეთ საშუალებას, როგორცაა ხელბორკილი. ხელბორკილი ზოგადად წარმოადგენს შეზღუდვის ფართოდ გამოყენებად საშუალებას და მიზნად ისახავს იმ პირის გაკონტროლებას, რომელიც თავის თავს ან მესამე პირს უქმნის საფრთხეს ან პირს, რომელიც შეიძლება გაექცეს/მიემალოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს. ხელბორკილი შესაძლოა იყოს მეტალის, ერთმანეთთან დაკავშირებული რგოლები, ან პლასტმასის, რომლითაც ადამიანის ხელების შებორკვა ხდება წინ ან ზურგს უკან.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ხელბორკილის გამოყენების უწინარეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს ექვიტანილის/ბრალდებულის/მსჯავრდებულის ფიზიკური წინააღმდეგობის განეიტრალება, თავისთვის ან მესამე პირისათვის ზიანის მიყენების აღკვეთა ან გაქცევის საფრთხის შემცირება. ხელბორკილის გამოყენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ ხსენებული მიზნის მისაღწევად და მხოლოდ იმ ინტენსივობით, რაც მკაცრად აუცილებელია ამ მიზნისათვის.

ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი გაეროს და ევროპის საბჭოს საზედამხედველო ორგანოების იურისპრუდენციისა და პრეცედენტული სამართლის თანახმად, ხელბორკილის გამოყენება დაუშვებელია ვინმეს დასჯის მიზნით.

¹ აღნიშნული სახელმძღვანელო დოკუმენტი შემუშავდა ევროკავშირისა (EU) და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR) მხარდაჭერით. იგი ეფუძნება დამოუკიდებელი ექსპერტის ბესარიონ ბოხაშვილის მიერ ჩატარებულ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების ანალიზსა და უცხო ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების კვლევას.



ხელბორკილის გამოყენების საჭიროებისა და მართებულობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებმა მხედველობაში მიიღონ შესაბამისი პირის, (რომელთან მიმართებაშიც ხდება შეზღუდვის ღონისძიების განხორცილება) ასაკი, გენდერი, ფიზიკური სიძლიერე/მოწყვლადობა, შეზღუდული შესაძლებლობები და სხვა.²

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად არ შეიძლება ხელბორკილის, როგორც შეზღუდვის ღონისძიების გამოყენება იმ პირთან მიმართებით, რომელსაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ხელბორკილის გამოყენებამ შესაძლოა გაურთულოს ჯანმრთელობის პრობლემები ან მის სიცოცხლეს შეუქმნას საფრთხე. მაგალითისათვის, ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობა პირდაპირ კრძალავს ხელბორკილის გამოყენებას ფეხმძიმე ქალებთან მიმართებით.³

ხელბორკილის გამოყენება მნიშვნელოვნად ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას. ცალკეულ შემთხვევებში ხსენებული შეზღუდვის ღონისძიების გამოყენებამ შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს. შესაბამისად, ხელბორკილის გამოყენებისას, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მუდმივად უნდა ახდენდნენ სიტუაციის მონიტორინგს, რათა უზრუნველყონ, რომ ხელბორკილის გამოყენება საფრთხეს არ უქმნიდეს ადამიანის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს.⁴

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება აქვს გამოტანილი ხელბორკილის გამოყენების პროპორციულობასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხებს, სასამართლო უმეტესწილად იხილავს ევროპული კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-8 მუხლების (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) ჭრილში.

სასამართლოს განმარტების თანახმად, ხელბორკილის დადება მაჯებზე ზოგადად არ იწვევს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული წამების ან არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის დადგენას, როდესაც მათი გამოყენება ხდება კანონიერი დაკავების შემდგომ და არ ხდება იმაზე მეტი ძალის გამოყენებით, ვიდრე ეს აბსოლუტურად აუცილებელი

² <https://www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/UseOfForceAndFirearms.pdf>;

³ მაგალითად სომხეთის კანონმდებლობა კრძალავს ხელბორკილების გამოყენებას ფეხმძიმე ქალებთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით ხელბორკილების გამოყენებას;

⁴ ACPO *Guidance on the Use Of Handcuffs*, 2009: <http://www.npcc.police.uk/documents/FoI%20publication/Disclosure%20Logs/Uniformed%20Operations%20FOI/2013/003%2013%20Att%2015%20of%2015%20Guidance%20on%20the%20Use%20of%20Handcuffs.pdf>.



იყო მოცემულ ვითარებაში. ხელბორკილის გამოყენების მართებულობის შეფასებისას, ევროპული სასამართლო მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს შემდეგი საკითხის განხილვას:

ა) არსებობდა თუ არა გონივრული მოლოდინი, რომ შესაბამისი პირი წინააღმდეგობას გაუწევდა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს დაკავებისას;

ბ) არსებობდა თუ არა გონივრული მოლოდინი, რომ იგი შეეცდებოდა მიმალვოდა გამოძიებას;

გ) არსებობდა თუ არა რაიმე მინიშნება, რომ შესაბამისი პირი ზიანს მიაყენებდა სხვას ან საკუთარ თავს ან შეეცდებოდა მტკიცებულებების განადგურებას.⁵

ევროპული სასამართლოს განმარტებით, ხელბორკილის გამოყენება, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში მოდის წინააღმდეგობაში არაადამიანურ და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვასთან, როდესაც მათი გამოყენება მნიშვნელოვან ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ტანჯვას აყენებს პირს და გამოყენება ხდება არაპროპორციულად.

მე-3 მუხლის ანალოგიურად, ხელბორკილის გამოყენება, თავისთავად არ იწვევს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. ევროპული სასამართლოს განმარტებით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ შესაბამისი პირი საპატიმროდან სასამართლოში ტრანსპორტირებისას, ან სასამართლოში შეყვანისას ვინმემ შეიძლება დაინახოს ხელბორკილდადებული, არ იწვევს პირის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას (პატივისა და ღირსების შელახვას)⁶. სასამართლოს განმარტებით ხელბორკილის დადება მხოლოდ მაშინ გამოიწვევს კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლებების დარღვევას, როდესაც ხელბორკილის დადება ხსენებულ მიზნებს კი არ ემსახურებოდა, არამედ მიმართულია ადამიანის დამცირებისაკენ.

აღნიშნული დოკუმენტი დაეხმარება საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებს, პირის დაკავებისას/გადაყვანისას წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით მიიღონ სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, ხელბორკილის გამოყენების მიზანშეწონილობისა და დროულობასთან დაკავშირებით, მათ შორის დაკავებული პირის სათანადო ქცევისა და საკუთარი და საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

⁵ *Svinarenko and Slyadnev v. Russia* [GC], 2014, § 117

⁶ *Raninen v. Finland*, 1997, §§ 63-64;



სახელმძღვანელო დოკუმენტი, ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად ეფუძნება ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი გაეროს და ევროპის საბჭოს საზედამხედველო ორგანოების იურისპრუდენციას.

სახელმძღვანელო დოკუმენტი შექმნილია სპეციალური საგამომიებო სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტის გამომძიებლებისა და ოპერატიული თანამშრომლებისათვის და მოიცავს ხელბორკილის გამოყენების ზოგად პრინციპებსა და წესებს.

სახელმძღვანელო დოკუმენტის მოქმედების ფარგლები

სახელმძღვანელო დოკუმენტით დადგენილი წესებით, ხელბორკილის გამოყენება განიხილება როგორც საპროცესო იძულების დროს გამოსაყენებელი თანმხლები ღონისძიება, როგორც დაკავებული პირის სათანადო ქცევის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება.

ხელბორკილი გამოიყენება როგორც სათანადო საფუძვლის არსებობის პირობებში დაკავებული პირის ზედა კიდურების შეკავების ეფექტიანი საშუალება, რამაც უნდა უზრუნველყოფს ერთის მხრივ დაკავებული პირის სათანადო ქცევას, ხოლო მეორეს მხრივ დამკავებელი პირის უსაფრთხოება.

ხელბორკილის გამოყენებისას დამკავებელმა პირმა უნდა დაიცვას შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- ა) კანონიერება;
- ბ) ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა;
- გ) ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;
- დ) პიროვნების ღირსების ხელშეუვალობა;
- ე) სპეციალური საგამომიებო სამსახურის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ქცევის სტანდარტები;

ხელბორკილი გამოიყენება დაკავების ღონისძიების უსაფრთხოების უზრუნველყოფის, მიმალვის რისკის თავიდან აცილებისა და დაკავებაში მონაწილე პირების/დაკავებულის უსაფრთხოების დაცვის მიზნით. მათ შორის:

- ა) პირის დაკავება ხდება გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში;



განკუთვნილია სპეციალური საგამომიებო სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტის თანამშრომლების სამსახურებრივი გამოყენებისათვის

- ბ) პირის დაკავება ხდება სასამართლო განჩინების საფუძველზე;
- გ) დაკავებული პირის სასამართლოში გადაყვანა/ზადრაგირებისას;
- დ) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე პატიმრობა შეფარდებული პირის პენიტენციურ/სამკურნალო დაწესებულებაში ზადრაგირება/გადაყვანისას;
- ე) დაკავებული პირის საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის მიღებისას.

ხელბორკილის გამოყენებისას გასათვალისწინებელი შემდეგი საკითხები:

- ა) ხელბორკილს იყენებს თუ არა უფლებამოსილი პირი;
- ბ) შეფასებულია თუ არა ხელბორკილის გამოყენების საჭიროება და არსებული რისკები;
- გ) ხელბორკილის გამოყენება ასახულია თუ არა ოქმში;

ხელბორკილის გამოყენების დამატებითი გარემოებები შეიძლება იყოს:

- ა) პირის დაკავებამდე/დაკავებისას არსებული ფაქტობრივი გარემოებების (დანაშაულის კატეგორია, ჩადენის ფორმა, საშუალება და ა.შ) ცოდნა;
- ბ) დასაკავებელი პირისგან ან/და დაკავების ადგილზე შექმნილი გარემოებებისგან მომავალი საფრთხის დროული იდენტიფიცირება და შეფასება;
- გ) იდენტიფიცირებული საფრთხის პროპორციული და რელევანტური ზომების მიღება, მათ შორის გაუთვალისწინებელი ინციდენტებისას;

ხელბორკილის გამოყენებისას, ზემოხსენებულ გარემოებებთან ერთად, მნიშვნელოვანია დამკავებელმა პირმა გაითვალისწინოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ისეთი მოთხოვნები, როგორცაა:

- პროპორციულობა
- ლეგიტიმური მიზანი/სამართლებრივი საფუძველი
- აუცილებლობა
- ანგარიშვალდებულება მენეჯერთან

როდესაც ხელბორკილის გამოყენება ხდება არასრულწლოვნის მიმართ, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს, რომ აკრძალულია არასრულწლოვნის მიმართ ხელბორკილის გამოყენება დაკავებისას, სასამართლოში წარდგენისას, მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების ან



სასჯელის აღსრულებისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზანი სხვა ფორმით ვერ მიიღწევა.

ამასთან, არასრულწლოვნის მიმართ ხელბორკილი:

- ა) გამოყენებული უნდა იქნეს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით;
- ბ) გამოყენებული უნდა იქნეს კანონით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და, შესაბამისად, გარემოებების თანაზომიერი უნდა იყოს;
- გ) გამოყენებული არ უნდა იქნეს დამამცირებელი ან ღირსების შემლახავი ფორმით;

მნიშვნელოვანია, რომ ხელბორკილის გამოყენებისას, დამკავებელმა/გადაყვანისას თანმხლებმა პირმა დაიცვას ეთიკური ნორმები და არსებული საფრთხეების აღსაკვეთად, ხელბორკილი გამოიყენოს იმ გარემოებებზე მითითებით, რომ იმ ვითარებაში იგი გამოსაყენებელ გონივრულ საშუალებას წარმოადგენდა;

ხელბორკილის გამოყენების წესი

მნიშვნელოვანია, რომ ხელბორკილის გამოყენებისას პრიორიტეტი ყოველთვის იყოს საზოგადოების, სამსახურის გამომძიებლის/ოპერატიული თანამშრომლის, მსხვერპლის ან/და დაკავებული/პატიმრობაში მყოფი პირის უსაფრთხოება. როდესაც უფლებამოსილი პირი გადაწყვეტს ხელბორკილის დადებას, მიზანშეწონილია ეს გააკეთოს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

ა) ხელბორკილი გამოიყენოს დაკავებული/დაპატიმრებული პირის მკლავთან შესაბამისობაში და თავიდან აიცილოს ხელბორკილის მოჭერა/სხეულის დაზიანება.

ბ) პირს ვისაც ხელბორკილი დაედო, დამკავებელმა ჰკითხოს, ხომ არ არის ხელბორკილი ძალიან მჭიდროდ მოჭერილი.

გ) მიზანშეწონილია, დამკავებელმა ფიზიკურადაც შეამოწმოს ხელბორკილი მაჯაზე ხომ არ არის მოჭერილი და საჭიროების შემთხვევაში მოუშვას ისინი, ამასთან გაითვალისწინოს დაკავებული/დაპატიმრებული პირის ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის/გაქცევის რისკები.

დ) ხელბორკილის გამოყენება უნდა აისახოს შესაბამის ოქმში;



ე) დამკავებელმა გააფრთხილოს დაკავებული პირი, რომ ხელბორკილმა შეიძლება გამოიწვიოს ტკივილი, თუ ის წინააღმდეგობას გასწევს.

ვ) ხელბორკილის დადება დაკავებული პირის ზურგს უკან ხელების შებორკვით უნდა მოხდეს როდესაც დაკავების ღონისძიების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მიმალვის რისკის თავიდან აცილება და დაკავებაში მონაწილე პირების/დაკავებულის უსაფრთხოების დაცვა ხელბორკილის სხეულის წინა მხარეს დადებით ვერ მოხერხდება.

ხელბორკილის გამოყენებამდე, მიზანშეწონილია დამკავებელმა გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, როგორცაა დაკავებული პირის ასაკი და სქესი, აშკარა ფიზიკური სიძლიერე და სხვა, რამაც თავის მხრივ შეიძლება ორმაგად მიზანშეწონილი გახადოს ან/და გამორიცხოს ხელბორკილის გამოყენების ყველა გარემოება. დამკავებელმა პირებმა უნდა იზრუნონ მათი კონტროლის ქვეშ მყოფი პირისთვის ზიანის მიყენების ან დაზიანების რისკის შემცირებაზე და ამავე დროს უზრუნველყონ საკუთარი და სხვების უსაფრთხოება.

გამოყენებისთვის ნებადართული ხელბორკილი

შესაძლებელია სამსახურის თანამშრომლების მიერ გამოყენებული იქნას შემდეგი ორი სტილის ხელბორკილი:

- მეტალის ხელბორკილი;
- პლასტმასის/სილიკონის ხელბორკილი;

მყარი ხელბორკილი უზრუნველყოფს უფრო მარტივ გამოყენებას და უფრო ეფექტურ კონტროლს. სპეციალური საგამომიებო სამსახურის ყველა გამომიებელსა და ოპერატიულ თანამშრომელს უფლება აქვს ატაროს ხელბორკილი, როდესაც მონაწილეობას იღებს/უნდა მიიღოს დაკავების ან პატიმრის გადაყვანის/ზადრაგირების ღონისძიებაში. ხელბორკილი უნდა ატარონ მაგალითად, სპეციალურ ქამარზე, სპეციალურ ბუდეში/შალითაში, ან/და ფარულად. შეიძლება იყოს შემთხვევები, როდესაც თანამშრომლის მიერ ხსენებული აღჭურვილობის ტარება არ იყოს სასურველი (მაგალითად, სამოქალაქო ტანსაცმელში ყოფნისას) და მათი ტარება შესაძლებელი გახდეს ჯიბით/ჩანთით, სამსახურის ავტომანქანით ან სხვა მეთოდით, თუმცა თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ არსებული რისკების თაობაზე, რამაც შეიძლება შეაფერხოს მათი ხელბორკილზე წვდომის დროულობა.



განკუთვნილია სპეციალური საგამომიებო სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტის თანამშრომლების სამსახურებრივი გამოყენებისათვის

ხელბორკილის გამოყენების აღნიშვნა

როგორც ეს ძალის გამოყენების ნებისმიერ შემთხვევაზე ხდება, მიზანშეწონილია ხელბორკილის გამოყენებაც დაფიქსირდეს შესაბამის ოქმში. კერძოდ, აღნიშნული გარემოება აისახოს დაკავების ოქმში, ხოლო დაპატიმრებულის გადაყვანისას/ბადრაგირებისას შედგეს შესაბამისი ოქმი, სადაც დამკავებელი პირი აღნიშნავს ხელბორკილის გამოყენების საჭიროებასა და დაკავებულების ბადრაგირებისას არსებულ რისკებს.

ხელბორკილის განაწილება და აღრიცხვის წარმოება

მიზანშეწონილია ხელბორკილი ყველა გამომძიებელს/ოპერატიულ თანამშრომელს ჰქონდეს პირადად და აღნიშნული აღიწეროს შესაბამის ჟურნალში, რომელიც პერიოდულად განახლდება.

მიზანშეწონილია საგამომძიებო დეპარტამენტის ყველა გამომძიებელმა და ოპერატიულმა თანამშრომელმა გაიაროს პირველადი გადამზადება/ტრენინგი. **ხელბორკილის გამოყენებასთან დაკავშირებული ტრენინგის მოდულში, მნიშვნელოვანია გაიწეროს შემდეგი ძირითადი საკითხები:**

ა) ხელბორკილის გამოყენების პრაქტიკული უნარები

ტრენინგის/სპეციალური სასწავლო მოდულის შემუშავება ხელბორკილის გამოყენების ტექნიკის და ტაქტიკის სწავლებასთან დაკავშირებით იმ თანამშრომლებისთვის, ვისაც აქვთ ხელბორკილის ტარების უფლება. მიზანშეწონილია სწავლება ასევე მოიცავდეს ხელბორკილის გამოყენების მეთოდებსაც.

ბ) რისკების/საფრთხეების იდენტიფიცირება და შეფასება

თანამშრომლებს უნდა შეეძლოთ რისკის/საფრთხეების იდენტიფიცირება/შეფასება ნებისმიერი პირისათვის ხელბორკილის დადებამდე.

